რუსუდან მეძმარიაშვილი
საგარეო ურთიერთობების მენეჯერი

ბი-პი საქართველო
იალბუზის ქუჩა № 14
თბილისი, 0144, საქართველო
ტელ.:+995 32 259 3400
www.bpgeorgia.ge
წერილის N: BP/OUT/6637/22

23 სექტემბერი, 2022 წ.

ქ-ნ თამარ ფიცხელაურს
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს
სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ უფროსს
თბილისი, 0112, დ. აღმაშენებლის გამზ. N150

საგანი: დმსმ მილსადენის (KP264+733) მდ. ყვირილას გადაკვეთაზე დაგეგმილი გადაუდებელი ნაპირგამაგრების რეაბილიტაციის სამუშაოების შესახებ

ქ-ნო თამარ,

კომპანია BP საქართველოს (ბი-ფი ექსპლორეიშენ (კასპიის ზღვა) ლიმიტედის საქართველოს თბილისის ფილიალი, იალბუზის ქ. N14) მიერ, დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის (დმსმ) უსაფრთხო ექსპლუატაციის უზრუნველყოფის მიზნით, დაგეგმილი დმსმ-ს KP264+733-ზე მდ. ყვირილას გადაკვეთაზე არსებული გამაგრების ნაგებობების რეაბილიტაცია/რეკონსტრუქციის გადაუდებელი სამუშაოების პროექტის სკრინინგის პროცედურის ფარგლებში;

კომპანია BP საქართველოს 2022 წლის 22 აგვისტოს N BP/OUT/6610/22 განაცხადზე დამატებით და თქვენი 2022 წლის 15 სექტემბრის N21/5294 წერილის პასუხად, წარმოგიდგენთ დამატებით და კორექტირებულ დოკუმენტებს:

- შენიშვნების შესაბამისად კორექტირებულ საინფორმაციო დოკუმენტს - სკრინინგის ანგარიშს (დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლების შესახებ და შესაძლო ზემოქმედების ხასიათის თაობაზე).
- GIS შეიპფაილებს - დაგეგმილი საქმიანობის ადგილმდებარეობის კოორდინატების მითითებით.
- სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტოს“ 2022 წლის 25 ივლისის N11-5165 წერილის ასლი.
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2022 წლის 13 მაისის N2-03/7111 წერილს - თანხმობა პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით.
- „ბი-ფი ექსპლორეიშენ (კასპიის ზღვა) ლიმიტედის საქართველოს თბილისის ფილიალი“-ს (ს/ნ 202 167 500) ამონაწერს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
„26“ 09 2022
№ 5104

- 2021 წლის 8 ოქტომბერს გაცემული მინდობილობა, ქ-ნი რუსუდან მეძმარიაშვილისათვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი N211130226).

საერთაშორისო მნიშვნელობის მაგისტრალური ნავთობსადენის უსაფრთხო ექპლუატაციის უზრუნველყოფის მიზნით, სამუშაოების გადაუდებელი ხასიათის გათვალისწინებით, მოგმართავთ თხოვნით, განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მიიღოთ სკრინინგის გადაწყვეტილება.

ამასთან, გვსურს გამოვთქვათ იმედი, რომ მიმდინარე წლის 22 აგვისტოს განაცხადით აღძრული ადმინისტრაციული წარმოება დროულად დასრულდება და სკრინინგის გადაწყვეტილება მიღებულ იქნება შესაძლო მოკლე ვადებში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

პატივისცემით,

რ. მეძმარიაშვილი

დანართი:

- სკრინინგის საინფორმაციო დოკუმენტი - 28 ფურცელი.
- GIS შეიპფაილები - 1 CD.
- სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტოს“ 2022 წლის 25 ივლისის N11-5165 წერილის ასლი - 1 ფურცელი.
- საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2022 წლის 13 მაისის N2-03/7111 წერილის ასლი - 1 ფურცელი.
- კომპანიის ამონაწერს იურიდიული პირების რეესტრიდან - 2 ფურცელი.
- 2021 წლის 8 ოქტომბრის მინდობილობა - 9 ფურცელი.